მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს

2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

COVID 19-ის გამოწვევების საპასუხოდ

COVID 19-ის პანდემია და სამინისტროს გამოწვევები

- ყველა მიმართულებით – განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი - სამინისტრო ხელმძღვანელობდა უწყებათაშორისი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესაბამისად
- ჯანდაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით ყველა მიმართულებისთვის შეიქმნა შესაბამისი პროტოკოლი
- პანდემიის ყველა ეტაპზე უწყება უზრუნველყოფდა მის დაქვემდებარებაში არსებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ და სპორტულ სივრცეებში უსაფრთხო გარემოს შექმნას
- სამინისტრომ შეძლო, შეენარჩუნებინა განათლების უწყვეტობა, ხარისხი და ხელმისაწვდომობა
- პანდემიის მიუხედავად, სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტები შეუფერხებლად გაგრძელდა

დისტანციური სწავლება

- სამინისტრომ მყისიერად დანერგა დისტანციური სწავლება
- სამინისტრომ სკოლებს დისტანციური სწავლების სხვადასხვა პლატფორმა შესთავაზა, მათ შორის: Microsoft Teams და Feedc Edu
- ამოქმედდა მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული მოდელი – განმავითარებელი შეფასება
- პირველ არხთან თანამშრომლობით დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“ და შეიქმნა ახალი ტელეარხი – „პირველი არხი განათლება“

„ტელესკოლა“

- „ტელესკოლის“ საგაკვეთილო ბადე მოიცავს I-XII კლასებს
- პროექტი ითვალისწინებს აბიტურიენტის საათს
- სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის გაკვეთილები ადაპტირებულია ჟესტურ ენაზე
- გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტერესები
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის მიმდინარეობს საგნების სწავლება სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე
- ტარდება „ინგლისური ენის გაკვეთილები“ სხვადასხვა ინტერესის მქონე მაყურებლისთვის, როგორც ზოგადი, ისე ბიზნეს ინგლისურის მიმართულებით
- დაინერგა „ჟესტური ენის გაკვეთილები“

მზადება 2020-2021 სასწავლო წლისთვის

- 2020 წლის ივნისში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და ზოგადი განათლების შესახებ კანონმა დისტანციური სწავლება განათლების ერთ-ერთ ფორმად აღიარა
- სასწავლო წლის დაწყებამდე დამტკიცდა დისტანციური სწავლების წესი, რამაც უზრუნველყო სექტემბრიდან სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვა
- განხორციელდა სკოლების მონიტორინგი და შეფასდა მათი მზაობა
- ახალი სასწავლო წლისთვის 800-მდე საჯარო სკოლაში სველი წერტილები სრულად მოწესრიგდა
- სკოლები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით – პირბადეებით, დისტანციური თერმომეტრებით, დეზობარიერებით, სადეზინფექციო სითხეებითა და დისპენსერებით
- სკოლებს დაევალა ინდივიდუალური გეგმის შემუშავება იმ მოსწავლეებისთვის, რომელთაც დისტანციური სწავლების შესაბამისი პირობები სჭირდებოდათ

StopCov.ge

2020-2021 სასწავლო წელი

- პირველი სემესტრის სასწავლო ფორმატი ეპიდვითარების შესაბამისად, ინდივიდუალური მიდგომით, რეგიონების მიხედვით განისაზღვრა
- მას შემდეგ, რაც დიდ ქალაქებში მოსწავლეები საკლასო ოთახებს დაუბრუნდნენ, სამინისტრომ საზოგადოებას დისტანციური სწავლების ფორმატის არჩევის შესაძლებლობა შესთავაზა
- იმ სკოლებში, სადაც მშობლების სურვილით მოსწავლეები დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ, მასწავლებლების ორმაგი დატვირთვა ანაზღაურდა
- დისტანციური სწავლების დახვეწის მიზნით ელექტრონული ჟურნალი დაინერგა
- სპეციალური საგნობრივი მხარდამჭერი ჯგუფები რეგიონალურ დონეზე აქტიურად მუშაობდნენ სკოლებთან დისტანციური სწავლების პრაქტიკის დახვეწის კუთხით
- პანდემიის პერიოდში, პენიტენციურ დაწესებულებაში გამოცხადებული კარანტინის გამო, ბენეფიციარებს საგანმანათლებლო მომსახურება დისტანციური ფორმით უწყვეტად მიეწოდებათ

დისტანციური სწავლების მხარდამჭერი პროგრამები

- განხორციელდა პროექტები „ისკოლა“ და „ვებსკოლა“
- შეიქმნა კომპლექსური ციფრული დავალებების ბანკი და გამოქვეყნდა პორტალზე el.ge
- ჩატარდა პედაგოგთა ვებინარები - მომსახურება წლის განმავლობაში 20750 მასწავლებელმა მიიღო
- Microsoft-ის საგანმანათლებლო პორტალი და მასში არსებული კონტენტი ითარგმნა ქართულ ენაზე
- სამინისტრომ უზრუნველყო მოსწავლეებისთვის გრიფირებულ ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე წვდომა
- მულტიდისიპლინურმა გუნდმა, ფსიქოლოგებმა (48 სპეციალისტი) და სკოლის სპეციალურმა მასწავლებლებმა (1500 სპეციალური მასწავლებელი) მშობლებს საკონსულტაციო სერვისი შესთავაზეს
- ამ ეტაპზე მიმდინარეობს Microsoft-ში ინტერაქტიული ქართულენოვანი Chat-Bot-ისა და ელექტრონული ჟურნალის ინტეგრირება
- საქართველოს მასშტაბით დაინერგა Minecraft-ის საპილოტე პროექტი
- პანდემიის პერიოდში შექმნილი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი საგანმანათლებლო სისტემაში დარჩება

ისკოლა

StopCov.ge

საერთაშორისო შეფასებები

Microsoft

- პანდემიის პირობებში საქართველოში განათლების უწყვეტობას მაღალი შეფასება მისცა და ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად დაასახელა კორპორაცია Microsoft-მა

unicef Georgia

- საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად მაღალი შეფასება მისცა გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES

- OECD-ის განათლების დირექტორატის ხელმძღვანელმა COVID-19-ის კრიზისის პირობებში განათლების სისტემის ადაპტაციისა და დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით, საქართველო და ფინეთი ლიდერ ქვეყნებად დაასახელა

პროფესიული პროგრამები პანდემიის პირობებში

პროფესიული განათლების გამოწვევები

- გაანალიზდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და გამოიკვეთა ის კომპონენტები, რომელთა მიწოდება დისტანციურ რეჟიმში სრულად იყო შესაძლებელი
- დაინერგა ჰიბრიდული სწავლების მიდგომები
- ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უზრუნველყო ელექტრონული წარმოების მეშვეობით 100-ზე მეტი პროგრამის ავტორიზაცია, რის შედეგადაც სისტემაში გაჩნდა დამატებით 4400 ადგილი
- პროფესიულ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება შეუფერხებლად განხორციელდა, ჩაირიცხა 9500 სტუდენტი
- პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესაძლებლობა მიეცათ მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრაციის მიუხედავად, კორონავირუსის გავრცელების გამო ტესტირებაზე ვერ გამოცხადდნენ
- არ შეწყვეტილა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება და განხორციელება

სიახლეები პროფესიულ განათლებაში

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება 30%-ით გაიზარდა
- აზიის განვითარების ბანკთან (ADB) თანამშრომლობით შემუშავდა პროგრამა პროფესიული განათლების შემდგომი განვითარებისთვის, რომლის მხარდასაჭერად აზიის განვითარების ბანკმა 70 მილიონი დოლარი გამოყო
- 2020 წელს გაგრძელდა პროფესიული განათლების შესახებ კანონის დანერგვა, შემუშავდა 15-მდე კანონქვემდებარე აქტი
- დაიწყო 2021-2026 წლების სტრატეგიაზე მუშაობა
- საქართველოს რეგიონებში პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით განხორციელდა რეგიონული და სექტორული საჭიროებების მასშტაბური კვლევა

სიახლეები პროფესიულ განათლებაში

- მომზადდა განათლების ყველა საფეხურზე პროფესიული კარიერის მართვის ერთიანი სტრატეგია
- პროფესიული მომზადება-გადამზადების 102 პროგრამის განხორციელების უფლება 36-მა იურიდიულმა პირმა მოიპოვა
- პროფესიული სასწავლებლებისთვის დამტკიცდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები, რომელიც დაფუძნებულია ევროპული ხარისხის ინდიკატორებზე
- ამოქმედდა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიეცემა სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებული დიპლომი
- 2020 წლის ცვლილებებით, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებს სწავლის დასრულებამდე სავალდებულო სამხედრო სამსახური გადაუვადდებათ

უმაღლესი განათლება

პანდემია და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სასწავლო პროცესს ახორციელებენ ძირითადად დისტანციურ ფორმატში, გარდა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ/ლაბორატორიულ/კლინიკური კომპონენტებისა
- სამინისტრომ უნივერსიტეტებს პანდემიის დასაწყისშივე დისტანციური სწავლების ხელშემწყობი ონლაინ პლატფორმები გაუზიარა
- სასწავლო გეგმები და შეფასების სისტემა მოდიფიცირდა ელექტრონული სწავლების ფორმატის შესაბამისად
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია, იხელმძღვანელონ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებით
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნივერსიტეტებისთვის შეიმუშავა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის დამხმარე დოკუმენტი
- შემუშავდა ტრენინგ-კურსი „Covid-19“, რომლითაც გადამზადდნენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების მაღალკურსელები. გადამზადებული სტუდენტები, როგორც მოხალისეები, უკვე ჩაერთნენ კოვიდის მართვის პროცესში

StopCov.ge

სტუდენტების ხელშეწყობა

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა

- უნივერსიტეტებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშეღავათო პოლიტიკასთან დაკავშირებით - სწავლის გადასახადი გადავადდა ან შეთავაზებულ იქნა გადახდის მოქნილი ინდივიდუალური გრაფიკი
- პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 150 000 და ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველ 15 ათასამდე სტუდენტს სწავლის საფასური დაუფინანსდა
- სამინისტროს სოციალური პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა მოწყვლადმა ჯგუფმა 13 კატეგორიის მიხედვით სახელმწიფო სასწავლო გრანტი მოიპოვა
- პანდემიის მიუხედავად, 130-ზე მეტი სტიპენდია გაიცა საზღვარგარეთ სწავლის მსურველი ახალგაზრდებისთვის

ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

- პანდემიის მიუხედავად, ქვეყნის მთავარი მეგა-პროექტი – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი გაიხსნა
- ახალი სახელმწიფო უნივერსიტეტი ვითარდება დასავლური სტანდარტებით. იგი პირველი საუნივერსიტეტო კამპუსის ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონში
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური პროგრამები მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამების ანალოგს წარმოადგენს
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის საპატიო პრეზიდენტი და მრჩეველთა საბჭოს წევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი მეცნიერები არიან
- ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ქართველ პროფესორებთან ერთად ლექციებს კითხულობენ პროფესორები მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან

KUTAISI
INTERNATIONAL
UNIVERSITY

მნიშვნელოვანი სიახლეები

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია

- ქართულ-ფრანგულ უნივერსიტეტში წელს პირველი სტუდენტები ჩაირიცხნენ. კონსორციუმის წევრი 6 ფრანგული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა
- რეგიონში პირველად თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებმა ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (ABET) აკრედიტაცია მიიღო
- გაფართოვდა აკადემიური მობილობის ხელშემწყობი პროგრამები: ERASMUS+, Fulbright, DAAD
- იუსტიციის სამინისტროსთან თანამშრომლობით თსუ-ში „ევროპული საჯარო სამართლის ორგანიზაციის“ სამხრეთ კავკასიის ფილიალი დაარსდა, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი პროექტების განხორციელებას

Erasmus+ FULBRIGHT DAAD

2020 წლის გამოცდები

- 2020 წლის გამოცდები სხვა უწყებებთან კოორდინაციით, უპრეცედენტოდ სრულფასოვან აკადემიურ გარემოში, თითოეული მონაწილის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სრული დაცვით ჩატარდა, მიუხედავად მასშტაბურობისა - 70 000-მდე რეგისტრირებული აპლიკანტი

- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ასევე, ევროპის დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის ცენტრის (ECDC) რეკომენდაციების შესაბამისად, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით გახსნილ 24 საგამოცდო ცენტრში სპეციალური წესები მოქმედებდა

- ყოველი სამუშაო მაგიდა წინა მხრიდან აღჭურვილი იყო გამჭვირვალე დამცავი ბარიერით; მაგიდებს შორის დაშორება მინიმუმ – 2 მეტრი, ერთმანეთის მიმდევრობით განლაგებულ მაგიდებს შორის მანძილი კი - 1 მეტრი

- დაცული იყო: ფიზიკური დისტანცია; ხელების ჰიგიენის დაცვის წესი; რესპირატორული ეტიკეტი; ნიღბების სავალდებულოდ ტარების წესი; საგამოცდო სივრცეების უსაფრთხოდ მოწყობის წესი

StopCov.ge

პანდემია და მეცნიერება

- ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ჩაერთო პანდემიის პრევენციის პლატფორმის მიერ მხარდაჭერილ საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ პროექტში „საქართველოს რეალობა: სამეცნიერო კვლევების მდგრადობა COVID-19-ის პანდემიის დროს“
- მოხდა რიგი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების გადაწყობა და აქტიური ჩართვა COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებებისთვის საჭირო პროდუქციის წარმოებაში
- 2020 წელს ევროკავშირის პროგრამის “Horizon 2020” გამარჯვებული პროექტით „მეცნიერება კაპიტანია“ საქართველო წელს პირველად შეუერთდა ევროპელ მკვლევართა ღამეს
- ქვეყანაში COVID-19-ის ზედამხედველობასა და მართვაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

მნიშვნელოვანი მიღწევები

მეცნიერება

- დაწყებულია და აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში ადრონული თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის შესაქმნელად
- ცენტრში განთავსდება ორი ციკლოტრონი, რომელთა დამზადება ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან კომპანიაში (IBA) მიმდინარეობს
- გაიზარდა ქართველ მეცნიერთა ჩართულობის მაჩვენებელი მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით „ჰორიზონტი 2020“ ჩარჩო პროგრამის ფარგლებში
- დაწყებულია მზადება Horizon Europe-ის პროგრამისთვის, რაც გაგვიხსნის გზას ევროპულ სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციისკენ, მათ შორის, ევროპული ასოციაციის „COST”-ის სრული წევრობისკენ
- გაფართოვდა თანამშრომლობა CERN-თან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა

- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ევროპის საბჭოს განვითარების ბანკის (CEB) მიერ 2020 წელს დასრულდა 20 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა
- 60 სკოლის მიმდინარე მშენებლობა 2021 წელს დასრულდება
- 2020 წელს პროფესიული სასწავლებლების მშენებლობა-რეაბილიტაცია დასრულდა ქუთაისში, შუახევში, მარნეულში, ჩოხატაურში, კასპსა და თელავში. ახალი ინფრასტრუქტურის შექმნის ან არსებულის გაუმჯობესების კუთხით მიმდინარეობს სამუშაოები ხაშურში, ბორჯომში, წყალტუბოში, ზუგდიდში, ბათუმში, ქობულეთში, ლანჩხუთში, ამბროლაურში, წალენჯიხაში, ახალქალაქსა და ახალციხეში
- მიმდინარეობს თსუ-ს მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია

კულტურის სფეროს მხარდაჭერა

- პანდემიის პირობებში სრულად შენარჩუნდა კულტურის საჯარო სექტორში 6000-მდე სამუშაო ადგილი
- შრომის ანაზღაურება სამინისტროს სისტემაში არსებული თეატრებისა და მუზეუმების თანამშრომლებს 100 ლარით გაეზარდათ
- ჩატარდა 16 კონკურსი – დაფინანსდა 161 კერძო და არასამთავრობო კულტურული ორგანიზაცია, პროექტებში ჩართული იყო 4500-მდე ხელოვანი
- კამპანიის „კულტურა თქვენთვის“ ფარგლებში 1000-ზე მეტი ონლაინ ღონისძიება გაიმართა
- მომზადდა 50-მდე თეატრალური დადგმა, რომელთა საპრემიერო ჩვენებების ნაწილი ღია ცის ქვეშ რეგულაციების დაცვით, ნაწილი კი ონლაინ ფორმატში ჩატარდა, ხოლო ზოგიერთის პრემიერა მომავალში გაიმართება
- რეგიონულ თეატრებში 30 ახალი სპექტაკლი დაიდგა
- განხორციელდა სოციალური სახელოვნებო, კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები, მათ შორის, ინკლუზიური თეატრის სპექტაკლი – „იდუმალი მთის მიღმა“, „კინოხელოვნება - სმენის არმქონე და სმენადაქვეითებული მოზარდებისათვის“ და მრავალი სხვა

კულტურული ღონისძიებები

- ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, კინოსა და ფოლკლორის მიმართულებით დაფინანსდა 31 სახელოვნებო ფესტივალი, რომელთა ნაწილი ღია სივრცეში, ნაწილი კი ონლაინ ფორმატში გაიმართა
- ოსკარის უცხოური ფილმების ნომინაციაზეა წარდგენილი დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „დასაწყისი“, რომელმაც უკვე მოიპოვა აღიარება კანისა და სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალებზე
- კულტურული ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა კულტურული მარშრუტების პირველი მობილური აპლიკაცია
- საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში გამოიცა 16 ალბომი
- საქველმოქმედო ფონდ ,,ქართუს“ დაფინანსებით, ანზორ ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით, გამოიცა ეროვნული კულტურის შესახებ სამეცნიერო ნაშრომი „საქართველო. ისტორია. კულტურა. ეთნოგრაფია“ – უნიკალური ინგლისურენოვანი გამოცემა. სამტომეულის გადაცემა დაწყებულია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებისათვის
- ჩატარდა გამოჩენილ ხელოვანთა 13 საიუბილეო ღონისძიება
- საქართველომ მოიპოვა უფლება, რომ 2021 წლის შემოდგომაზე ქუთაისი უმასპინძლებს ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების ფორუმს, რომელსაც ევროპის ქვეყნებიდან კულტურული ტურიზმის სექტორისა და საერთაშორისო ინსტიტუციების 200-ზე მეტი მაღალი რანგის სტუმარი დაესწრება

ინფრასტრუქტურული და სარეაბილიტაციო პროექტები



- ევროპის მასშტაბით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც პანდემიის დროს ორი ახალი მუზეუმი გაიხსნა – ეროვნული მუზეუმის ვანის არქეოლოგიური და ბოლნისის რეგიონული მუზეუმები
- დასრულდა მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის მშენებლობა
- დასრულდა სამხატვრო აკადემიის, ანსამბლ „რუსთავის“ შენობის, სრულდება მუსიკალური დრამისა და კომედიის თეატრის სარეაბილიტაციო სამუშაოები
- მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო და მიმდინარეობს 45 ძეგლის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კონსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა
- კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან თანამშრომლობით ფონდ „ქართუს“ მიერ განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის 97 ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები

სპორტული მიღწევები

- **პანდემიის მიუხედავად, ქართველმა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვეს 145 მედალი, მათ შორის, 43 ოქრო, 44 ვერცხლი, 58 ბრინჯაო**
- **მორაგბეთა ნაკრებმა რვა ერის გათამაშებაში ასპარეზობის უფლება მიიღო, რაც ქართული სპორტის დიდი აღიარებაა**
- **შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ, რომელიც მზად არის პარლამენტში წარსადგენად**
- **სამინისტრომ შეიმუშავა მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგია და გეგმა, რომელიც საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება**

პანდემია და სპორტი

- სამინისტროსა და სპორტული ფედერაციების ეფექტური მუშაობის შედეგად შემუშავდა პროფესიული სპორტის დროებითი პროტოკოლი, რომლის საშუალებითაც საწვრთნელი და საშეჯიბრო პროცესი განახლდა პროფესიულ სპორტში
- სამინისტროს დახმარებით სპორტულმა ფედერაციებმა უმოკლეს დროში მოახერხეს შესაძლო აქტივობების ონლაინ რეჟიმში გადატანა
- სპორტის სფეროში მოღვაწე ექიმები ჩაერთნენ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში
- ეროვნულმა ფედერაციებმა ქართველი მწვრთნელებისთვის ჩაატარეს ონლაინ-სემინარები

სპორტული ინფრასტრუქტურა

- აშენდა და გაიხსნა 20 000 მაყურებელზე გათვლილი UEFA-ს სტანდარტების ბათუმის საფეხბურთო სტადიონი - ერთ-ერთი მასშტაბური სპორტული ინფრასტრუქტურული პროექტი
- აშენდა საფეხბურთო ცენტრები თბილისსა და ფოთში
- გაიხსნა საფეხბურთო აკადემია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში
- მიმდინარეობს 10 000 მაყურებელზე გათვლილი საკალათბურთო დარბაზის მშენებლობა თბილისში
- მიმდინარეობს ბათუმის მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც სპორტის 20-მდე სახეობას მოემსახურება
- გრძელდება საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა თბილისში
- შენდება საფეხბურთო აკადემიები ქუთაისსა და ზუგდიდში
- შენდება ზუგდიდის სარაგბო ბაზა, რომელსაც ფონდი „ქართუ“ აფინანსებს

საქართველო - მასპინძელი ქვეყანა

- **2022 წელი** - ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში -EUROBASKET 2022
- **2023 წელი** - მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალი სტილით თხილამურებით სრიალსა და სნოუბორდში
- **2023 წელი** - ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში (U21) - ფინალურ მატჩს ბათუმის ახალაშენებული სტადიონი უმასპინძლებს
- **2025 წელი** - ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი

მზადება ტოკიოს ოლიმპიადისთვის



2021 წელს ქართველი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო

გმადლობთ ყურადღებისთვის!

მთავრობის ანგარიში მოქალაქეებს

2020

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

#ანგარიშიმოქალაქეებს